გაუმარჯოს 1 მაისს—იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 1 მაისი № 101 (17744) ფასი 2 კაპ.

1 მაისი

ღეს პირველი მაისია და პირველი გაზაფხული...

მაისის დადგომისთანავე განსაკუთრებულად ხალისობს ჩვენი გული და სული, ნამდვილი სხივნათელი გაზაფხულის ფერებით მშვენდება მთელი ბუნება, ირგვლივ ყოველივე და ყველაფერი, რადგან ბუნების დიდ ზეიმს ხალხის დიდი ზეიმიც ეხმიანება.

დიაღ, მაისი ზეიმობის თვეა და თითქოს სიმბოლურია, რომ სწორედ მის დადგომისთანავე აღინიშნება ესოდენ სახალხო, ესოდენ ვაჟკაცური, ესოდენ ნათელი დღესასწაული — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული.

მალე საუკუნე გახდება, რაც პირველი მაისი მსოფლიოს ხალხთა ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამ ერთიანობისა და ძალაზმულობის სიკეთე ჩანს დღეს მსოფლიო რუკაზე ყველას თვალდასანახად და ყველა პატიოსანი კაცის გულგასახარად. დიდია ამ სასიკეთო ცვლილებაში ჩვენი ქვეყნის ამაგი და წვლილი. ოზეიმე საბჭოეთის ყველა კუთხეში ხალხთა სხვადასხვა ენაზე ადევ უფრო ხმამაღლა გაისმის საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულების გამომხატველი სიტყვები: „დავიცვათ მშვიდობა“, „გადაჭრით დავგმოთ გამალებული შეიარაღების ახალი ტური!“.

„ბევრი განსაცდელი გადაიტანა საბჭოთა ხალხმა, — თქვა ამანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მან გამოიარა ომის ქარცეცხლში,

დანაკარგების სიმწარეც და გამარჯვების სიხარულიც... საბჭოთა კავშირი აფასებს თავისი პარტიის მშვიდობისმოყვარულ ოლიტიკას. იგი მზად არის კვლავაც ყველაფერი იღონოს, რომ შვიდობა კიდევ უფრო მტკიცე, მკვიდრი, საიმედო გახდეს“.

წლევანდელ მაისობას სულ სხვა მადლი, სხვა ელფერი დაჰკრავს. და ეს იმიტომ, რომ სულ მალე ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 35-ე წლისთავს ვიზეიმებთ. ამ მაისობას წინ უძღოდა დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის იუბილე. და ბოლოს, პირველი მაისი ხომ მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების პირველი ეტაპის შედეგებს აჯამებს!

სწორედ დიდი ლენინის იუბილესათვის, საპირველმაისოდ დათმული სიტყვის ერთგულების პატაკებს ჩამოატარებენ სადღესასწაულო კოლონებში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი და მოწინავენი.

რამდენი გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა ალალი გარჯითა და რუდუნებით მოპოვებული რამდენი თვალადსაჩენი მიღწევა გვიხალისებს დღეს გულსა და სულს. მარტო ზედიზედ მეშვიდედ საკავშირო დროშის მოპოვება რად ღირს! ლენინურ შაბათობაზე რესპუბლიკის მშრომელთა ნაამაგარი, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბევრი იმედის მომცემი შრომითი შედეგი დასტურია იმისა, რომ საქართველო მთელი მონდომებით განაგრძობს ჩვენი პარტიის XXV ყრილობის კურსით გულდაჯერებულ ემასვლას, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მრავალ სიძნელეთა მიუხედავად წარმატებით დააგვირგვინოს არა მარტო ეს ელი, არამედ მთელი ხუთწლედი.

ყოველი დღესასწაული თავისებური გადასახედია განვლილი ზისა. და დღეს, როცა გონების თვალს ვავლებთ წარსულს, დღევანდელ საზეიმო განწყობილებას გვიძლიერებს იმის ღრმა შეგრება, თუ რა ბევრი შეიძლო ხალხთა ძმობის ტრადიციებით მდიდარმა ჩვენმა რესპუბლიკამ 59 საბჭოთა წლის მანძილზე, თუ რამდენ ხვავრიელად მოჩანს განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში შექმნილი და ნაღვაწ-ნაშენი.

მაგრამ, ამასთან ერთად, რაც უფრო მეტი დრო გადის ამ საუბილეო წლისა, რაც უფრო ვუახლოვდებით ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის გახსნის დღეებს, მით უფრო ძლიერ შეიგრძნობა საქართველოს თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც უკვე გაკეთდა და რაც მომავალში უნდა გაკეთდეს. მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ხვალინდელი დღის დიდი რწმენა, ჩვენი აღნათქვამის პირმტკიცობა — აი რით უნდა ეუერთგულოთ ჩვენს კომუნისტურ იდეალებს, პრაქტიკულად როგორ უნდა შევასრულოთ ხორცი მშობლიური პარტიის საპირველმაისო მგზნებარე მოწოდებას:

— საბჭოთა კავშირის შრომელებო! აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი ყოველ სამუშაო უბანზე!

მთელი ძალები მოახმარეთ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას!

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერების საფუძვლებს ქართველ სტუდენტებთან ერთად მრავალი ქვეყნის ახალგაზრდებიც ეუფლებიან. ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ქართველი სტუდენტები ლაოსელ, კამბოჯელ, ნეპალელ და იემენელ სტუდენტებთან ერთად.

ზ. ლომაძის ფოტო.

თბილისი

პირველი მაისის დღესასწაულის წინ მეთერთმეტე ხუთწლედის ამგარიშში დაიწყო მუშაობა თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამომჭრელი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი ოსტატი გულო დორეული ხელმძღვანელობს. ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციით ამ კოლექტივმა შეასრულა, გაზაფხულისა და შრომის დღესასწაულს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

თავის სამაისო ვალდებულებებს კარგად გაართვა თავი მთლიანად ფაბრიკის კოლექტივმა. მან უკვე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი დავალება. წლის ბოლომდე აქ ასიათასობით მანეთის ზეგეგმითს ნაწარმს გამოუშვებენ. („კომუნისტის“ კორ).

სოხუმი

ფიზიკელექტროტექნიკურ საპირველმაისო დამკვრელური ვახტის დღეებში დამთავრდა სრულყოფილი ფორმის ექვსი ახალი ვალციანი ჩარხის დამონტაჟება, რამაც პროდუქციის სადღეღამისო წარმოება 7 ტონით გაზარდა მოწყობილობის მუშაობის ეკონომიური რეჟიმის პირობებში.

აქ უურადღებით ეკიდებიან მარცვლეულის დაცვა-შენახვასა და გადამუშავებას, ფქვილის, კომბინირებული საკვების წარმოებას, მასალების, ენერგორესურსების ყაირათიან ხარჯვას. ტექნოლოგიური ხაზების ავტომატური მართვის დანერგვის შედეგად წარშან 120 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგა. საკმაო ეკონომიას იძლევა კომბინატში მთელი საწარმოს ელექტრული ქსელის მართვის ცენტრალური სისტემის მოქმედება.

კომბინატის მუშაკებმა მეათე ხუთწლედის დამამთავრებ ელ

ნოგათი სამშობლოს

წლისათვის მაღალი მიჯნები დაისახეს. მათ ვალდებულება იკისრეს წლიური პროგრამა შეასრულონ 26 დეკემბრისათვის, გეგმით გათვალისწინებული 12.787 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვან 12.977 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია. (საქინფორმი).

ბათუმი

ჩვენი გაერთიანების კოლექტივმა ფართოდ გაშალა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება და მიაღწია კიდეც დასახულ მიზანს. ახლა შრომითი მეტოქეობა დაიწყო სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

გადავწყვიტეთ კვლავ მაღლა ვატაროთ მუშური სინდისისა და პროფესიული ღირსების დროშა, დაუღალავად ვიშრომოთ უკეთესი საბოლოო შედეგისათვის, დავზოგოთ მასალები და ნედლეული, მაქსიმალურად შევამციროთ წუნი. ვალდებულებებში ჩავწერეთ, რომ წელს ტყავის წარმოებაში დავზოგავთ 80 ათას კვადრატულ დეციმეტრ ნედლეულს, ხოლო ფეხსაცმლის წარმოებაში — 150 ათას კვადრატულ დეციმეტრ ხაზედაპირე მასალას, 50 ათას კვადრატულ დეციმეტრ სასარჩულე და 30 ათას კვადრატულ დეციმეტრ უხეშ ტყავს, 50 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას და 110 ათას ტონა პირობითს სათბობს.

ე. ტყეშელაშვილი,
ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანების სათრიმლავი საამქროს მუშა.

ხუთწლიანი გეგმა—ვადამდე

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის კოლექტივმა გაამარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ტრესტის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. დავალებები რეალიზებულია აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის, სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების, მოგების, და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. საერთოდ კი 4 წელიწადსა და სამ თვეში შესრულებულია საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის ხუთწლიანი გეგმა.

ნ. გუნცაძე,
„კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის მმართველი.

გალაკტიონ ტაბიძე

მაისის დრეტენტი

მაისო, არა ატომის,
ნგრევის და უამინდობის,
არა ყიყინა-მუქარის,
სივრცეთა კიდით კიდობის,
არა თარეში ცეცხლისა,
არა წარღვნათა კიდობნის,
არა! შენ მზე ხარ მშვიდობის,
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!

მაისო! მშვიდობისათვის
მებრძოლებს მედგარხმიანებს,
მთელი მსოფლიოს უდიდეს
ძალას რომ აერთიანებს,
ეს შენ ხარ! მარად დიდება
შენს ერთგულ ადამიანებს!
აღვმართოთ დროშა მშვიდობის,
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!

ჩვენც, ხელოვანნი, ვუმღერით
კაცობრიობის მომავალს,
რაც მსოფლიოში დღეს ხდება,
სივრცეს აერთებს დრომავალს,
ვმღერით მაისის სინათლეს,
ვუმღერით მზეს ამომავალს —
წინ გვიძღვის დროშა მშვიდობის,
მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!

მხატვარ მ. კუხაშვილის პლაკატი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

17 აპრილს აკადემიკოს ნ. ნ. ბოლოხინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა მიღებული წინადადებანი 1979 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე (საკდისი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის

დადგენილება

1979 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

ურჰო კ. კეკონენს — ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს;

ლე ზუანს — ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს;

მიგელ ოტერო-სილვას — მწერალს, საზოგადო მოღვაწეს (ვენესუელა);

ერვე ბაზენს — მწერალს, საზოგადო მოღვაწეს (საფრანგეთი);

აბდურაჰმან ალ-ჰამისის — მწერალს, საზოგადო მოღვაწეს (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა).

კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. ბოლოხინი (სსრ კავშირი).

კომიტეტის წევრები: ბ. ვ. ალექსანდროვი (სსრ კავშირი), ლუი არაგონი (საფრანგეთი), მირიამ ვირე-ტუომინენი (ფინეთი), რენატო გუტუზო (იტალია), ანა ზეგერსი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), კ�ა დევა მალაპია (ინდოეთი), სოილო მარი-ნელიო (კუბა), ჯეიმს ოლდრიჯი (დიდი ბრიტანეთი), ნგუენ თხი ბინი (ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა), ნ. ვ. ტომასი (სსრ კავშირი), იუზეფ ციერანკევიჩი (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა), ა. ბ. ჩაკოვსკი (სსრ კავშირი).

მეგობრულ ვიზიტად

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით მაისის დამდეგს საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ედვარდ გიროუხი.

ახალმოსახლეობას გილოცავთ, მეცნიერების შტაბო!

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 52. ამიერიდან ასეთი მისამართი ეწერება საქართველოს მეცნიერების შტაბს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს: პრეზიდიუმის ძველი შენობა, რომელიც ძერინსკის ქუჩაზე მდებარეობდა, უკვე ვერ აკმაყოფილებდა მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის გაზრდილ მოთხოვნებს. რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში, იქ სადაც შოთა რუსთაველის ძეგლი დგას, 50-იანი წლების დამლევს აშენდა „საქვანახშირის“ ტრესტის ხუთსართულიანი შენობა. აქვე იყო მოთავსებული სხვადასხვა საპროექტო ინსტიტუტი. მიღებულია გადაწყვეტილება ეს შენობა გადაეცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშებმა მოკლე დროში შეასრულეს დიდი მოცულობის სამუშაოები და ფაქტობრივად განაახლეს იგი. აქ უკვე დაიწყო გადმოსვლა პრეზიდიუმის მთელმა რიგმა სამსახურებმა. გავლილ კიდევ ცოტა დრო, და საქართველოს მეცნიერების შტაბი მთლიანად მოთავსდება რუსთაველის პროსპექტზე. ფართო და მოხერხებულ ოთახებში. ყველა პირობაა შექმნილი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და მისი აპარატის ნაყოფიერი საქმიანობისათვის. კაბინეტები და სხდომათა დარბაზები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

30 აპრილს აქ იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ქ. კ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. ა. სეხნიაშვილი. მათ დაათვალიერეს შენობა, ესაუბრნენ მშენებელ მუშებს.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა სარემონტო სამუშაოებს. მან მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ე. კ. ხარაძეს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებს ი. გ. გვერდწითელს, გ. ნ. ჯიბლაძეს, ს. ვ. დუმბაძეს, ნ. ა. ლანდიას, ა. ს. ფრანგიშვილს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მეცნიერს პირველი მაისის დღესასწაული, ახალმოსახლეობა, უსურვა ნაყოფიერი შრომა საბჭოთა მეცნიერების მაგისტრალური მიმართულებებით. (საქინფორმი).

ქვეყნად მშვიდობისათვის

აკადემიკოსი ნ. ბოლოხინი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

მშვიდობას უკავშირებენ ადამიანები მედნიერების რწმენას, მომავლის იმედებს, თვით სიცოცხლის უფლებას. როგორ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშვიდობა — ეს არის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრალური პრობლემა.

მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეალები შთაგონებს ბევრ გამოჩენილ სახელმწიფო, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს. სპარტელ ჯილდო იმათთვის, ვისმა წვლილმაც ამ ბრძოლაში ფართო აღიარება დაიმსახურა, არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. მისი ლაურეატების რიგებს შეემატა ხუთი ახალი სახელი.

ლაურეატთა შორისაა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ურჰო კეკონენი.** მისი საქმიანობა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ფართოდ არის ცნობილი ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ფინეთის გამოჩენილი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე უ. კ. კეკონენი იყო ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარე, მეთაურობდა მის მთავრობას, ხოლო 1956 წლიდან უკავია რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი. პრეზიდენტ ი. პაასიკივისთან ერთად იგი საფუძველს უყრიდა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, ფინეთის მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელმაც მიიღო „პაასიკივი — კეკონენის ხაზის“ სახელწოდება, და თითქმის მეოთხედი საუკუნეა ხელმძღვანელობს ამ კურსის განხორციელებას.

მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ მშრომელთა, კეთილი ნების ყველა ადამიანის დიდ პატივისცემას იმსახურებს ვიეტნამელი ხალხის სახელოვანი შვილის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლე ზუანის** მრავალმხრივი მოღვაწეობა.

1960 წელს ლე ზუანი აირჩიეს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1976 წელს — ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე მეთაურობს ლე ზუანი, ვიეტნამელმა ხალხმა მოიმკა ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში.

ლათინური ამერიკის სინდისს უწოდებდა პაბლო ნერუდა ვენესუელის გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეს **მიგელ ოტერო სილვას.** ერთ-ერთმა უდიდესმა თანამედროვე რომანისტმა, მგზნებარე პუბლიცისტმა და პოეტმა დიდი როლი შეასრულა ვენესუელის ეროვნული კულტურის განვითარებაში. სოციალური უსამართლობისადმი, ფაშიზმის, იმპერიალისტური ჩაგვრისა და ომისადმი სიძულვილით გამსჭვალულ მის ნაწარმოებებს მიენიჭათ მაღალი ეროვნული პრემიები და ისინი ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულ ენაზე.

თავისუფლების სიყვარული, ფაშიზმის სიძულვილი ახასიათებს აგრეთვე გამოჩენილ ფრანგ მწერალს **ერვე ბაზენს.** განთქმული გონკურთა აკადემიის პრეზიდენტი ე. ბაზენი აქტიურად უწყობს ხელს სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. მეორე მსოფლიო ომის წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ე. ბაზენმ, გულთან ახლოს მიიტანა ჩვენს დროში მომხდარი ჩილეს ტრაგედია, რომელიც აღწერა რომანში „ცეცხლი ცეცხლს ნთქავს“. საბჭოთა ადამიანებისათვის კარგად ცნობილ ე. ბაზენის წიგნებს მთელი მსოფლიო კითხულობს.

საერთაშორისო ლენინური პრემიების ახალ ლაურეატთა შორისაა კიდევ ერთი მწერალი **აბდურაჰმან ალ-ჰამისი** (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა), რომლის წიგნებს კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველიც. ეს წიგნები დიდი პოპულარობით სარგებლობს არაბულ ქვეყნებში. ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ეგვიპტელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურმა მონაწილემ, დაუჭირა მხარი ნასერის ანტიიმპერიალისტურ კურსს, მშვიდობისმოყვარე ძალებთან ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების ხაზს.

ასეთები არიან ადამიანები, ვისი თვალსაჩინო დამსახურები მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში აღინიშნა საერთაშორისო ლენინური პრემიებით. სხვადასხვა მრწამსის ეს ადამიანები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ ხალხთა უშიშროების განმტკიცების დიად საქმეს, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას. (საკდესი).

□ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა დაიწყო!

□ მამათა ძმობით გულგამთბარი უკრაინელი სტუმარი თბილისში

□ ვარდმოფენის თვე—გარეჯელთა შრომისა და ლხინის დღესასწაული

ერთვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოების გაღაცემა

თვალსაჩინო ქართველი პროზაიკოსის, მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატის გ. ს. ჩიქოვანის სახელი ახლობელი და ძვირფასია ყველასათვის, ვინც იცნობს მის შესანიშნავ ნაწარმოებებს. საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის დ: დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მას „სპატიო ნიშნის“ ორდენი მიენიჭა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სამშობლოს ეს მაღალი ჯილდო მწერალს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

„სპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ზელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანს ზ. გ. დვალს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაკთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ჯგუფს გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები. დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. მეზვრიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე ი. ო. ანდრაიაძე, მწერალი ს. ს. ცაიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. თ. ჭანიშვილი და სხვები. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრს გ. პ. გამცემლიძეს, რესპუბლიკის ქვების მრეწველობის მინისტრის მოადგილეს რ. ტ. ჩხაიძეს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ხარისხის კომისიის მდივანს ვ. პ. ვალეიკოს ეს ჯილდო მიენიჭათ რესპუბლიკას სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების დანერგვის ერთიანიერ-დათვალიერების მოწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის, აგრეთვე 1979 წლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

„სსრ კავშირის სახალხო მხატვრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელი გადაეცა მხატვარ ზ. კ. წერეთელს საბჭოთა საჰვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებს ო. ა. გელესიანს, ი. შ. ჟორდანიას, ო. ა. ჯიბლაძეს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გადაეცათ სიგელები „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს და უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში.

ჯილდოების გადაცემას ესწრებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე. (საქინფორმი).

სამაისო დიალოგები

ღირსეული კვალი...

საგარეჯოს რაიონიდან იწყება საქართველოს ის მაღლიანი, ხვავიან-ხვრეტიანი მხარე, კახეთი რომ ჰქვია. ოდესმაც „გარეჯით“ იწყება ჩვენი შორეული კულტურული წარსული. აქაური ყოველი ქვა ლაპადებს, თუ როგორ იცხოვრა და იბრძოლა ჩვენმა ერმა, როგორ გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს, ჩვენს თავზე დატრიალებულ ჯამთა სპავეს და როგორ მხნედ, ამაყად, სულით გაუტეხელი მოვედით დღემდე.

საუბარი იმის შესახებ, თუ როგორია დღევანდელი საგარეჯო, შორს წაგვიყვანს. ამდენად ეს საქმე ახლა ვერ მოხერხდება, მაგრამ უამისოდაც არა დამაკმაყოფილა ერთ-ერთ ალერსიანი ბერ შემოქმედებითს საზრდოს პოულობენ იქ, სადაც შენდება საგარეჯოს რაიონი, სადაც ზვარს ზვარი ემატება, ბაღს — ბაღი, სახნავს — სახნავი.

ნათქვამის დასტურად ის ფაქტიც გვიყოფა, რომ ჩვენს მწერლებს მედეა კახიძეს, გიორგი ფანდიკიძეს და გიორგი სანდიერაძეს საგარეჯოელთა სულიერ და მატერიალურ ალმშენებლობაზე მშვენიერი წიგნი დაუწერიათ, რომელიც უკვე ისტამბება და სწორედ მაისში, გარეჯობისას თუ არა, გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეოდ მაინც გამოქვეყნება ხელთ.

აი, ჩვენდა უნებურად ისიც გავამეორებინეთ, თუ რატომ იწერება ეს სტრიქონები.

ხომ დიდებულად დამკვიდრდა მაისის თვე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თავისი პირველი მაისით, მშრომელთა სოლიდარობის დღით, ხუთი მაისით, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები რომ ვზეიმობთ, აქვეა რადღის დღე. და



მერე კი დგება ფაშიზმზე გამარჯვების დღე — 9 მაისი.

საგარეჯოელებმა მაისის ამ საერთო საზეიმო დღეების ერთი თვისეც გაურიეს — „გარეჯობა“, ხოლო წლეულს გოგლას დაბადებასაც მაისში იზეიმებენ, ვარდმოფენის თვეც რომ მონათლა დიდმა პოეტმა.

როგორი იქნება მაისი საგარეჯოში? აი, რა გვაინტერესებდა ალშინ და ალგა დაბინდებამდე ველოდებოდით საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივანს მედეა მეზვრიშვილს.

თანდათანობით თავს იყრიდნენ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები, მოდიოდნენ სხვადასხვა საქმეზე წასულები. დაღლილები ჩანდნენ, მაგრამ კმაყოფილებაც ეტყობოდათ. საგარეჯოელებს ახლა წინ ათასი საქმე უდგეთ, ათასი წვრილმანითა და საზრუნავით. დიდ-პატარანი მუხლჩაუხრელად შრომობენ და ყოველდღიურად თავისეულ აგურს სდებენ.

მედეა მეზვრიშვილმა ძალიან დიდგვიანა, მერე სახლიდან დარეკა და ალბათ ამ-ბობს: დაღლილი ვარო. ბიუროს წევრებს ვესაუბრებოდით და პირველი მდივანი მაინც მოვიდა. აი, ეს სტრიქონები დავწერეთ და შევჩერდით, ახლა ორი გზა გვაქვს. ან ყველა დაწერილიდან ბევრი რამ უნდა წაშალოთ, ან უნდა ვილაპარაკოთ გულახდილად (რატომ გაკვირბიკართ რაიკომის მდივნებზე საუბარს?).

რაიკომის მდივანი, მართლაც, ძალიან დაღლილი ჩანდა. ჯერ მშრომელთა მიღება ჰქონოდა, მერე მინდვრად წასულიყო, ბოლოს შიბლიანდიდან ამოვიდა. იქ მებოცვრეობის კომპლექსი შენდება.

— რატომ იცით ასე ჟურნალისტებმა? ერთი-ორი დღით ადრე რომ შეგეტყობინებინათ, არა სჯობდა? საკითხებსა და მასალებს მოვამზადებდით, თორემ რა გამოვიდა, სულ ჰარი-ჰარაში ხართ, სულ გეჩქარებათ, — კეთილი საყვედურით ამბობს მდივანი. მერე ჩვენ ვეუბნებით, რომ გაზეთს ყოველთვის ახასიათებს ამგვარი ტემპი, რომ ჟურნალისტებს ძალიან ხშირად გვიხდება ხელჩქარად წერა და აი, ახლაც რაც უნდა მოხდეს, სარედაქციო დავალება აუცილებლად უნდა შესრულდეს.

— ბიჭოს,—გაიღიმა მდივანმა,— თქვენ თქვენსას სცდილობთ და ჩვენსას აღარ იკითხავთ? რომ იცოდეთ, რა დღეში ვართ. გამოტეხილად ვეტყვით, ძალიან გაგვიჭირდა მუშაობა, ზედმეტს ვინ ამბობს, რაც გვმით გვიკეთებენ, იმ საშენ მასალასაც ვერ ვიღებთ დროულად. ძალიან რომ გაწამდება, რომ ეკითხენ და ვერ იღებს, ათჯერ რომ მივა ერთხელ მისასვლელ საქმეზე, როგორც ყოველ ადამიანს, თუ რმე გაუკვლევს ხოლმე ფიქრი, კარგი, გაჩერდი, დადექით, მაგრამ მდივანი ამას აღარ გვეუბნება, რატომ აღარ ჩერდება. ვიცით, ეუხერხულება, რომ, ერთი პოეტისა არ იყოს, ორმად სწამს: ღალატია ამგვარი ფიქრი. ღალატი იმ საქმეისა საქმისა, რომელსაც შესწირებია კომუნისტი და ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

მედეა მეზვრიშვილი მშენებელს მშენებელი ჰგონია, მეზვრეს — მეზვრე, იმის მოწმენიც ვყოფილვართ, რომ პოეტს ბულწრფელად ეთქვამს — ეს ქალი პოეტიაო.

მედეა მეზვრიშვილი კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არც ერთია და არც მეორე. იგი პარტიის რაიკომის მდივანია და მეული თავისი შრომით, ცხოვრებითა და პირადი მაგალითით ადასტურებს, თუ როგორი რაიკომის მდივანი გვჭირდება ჩვენ.

— რაიონს დიდი პერსპექტივები აქვსო, ამბობს. შარშან 27 ათასი ტონა ყურძენი მოვიწიეთ, მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს კი, რაღაც ხუთიოდე წლის მერე, 70 ათასი ტონა უნდა მივიღოთ. შეფარდება, რა თქმა უნდა, გრანდიოზულია, და რაიკომის მდივანი განმარტავს: მომავალ ხუთწლედში 4 ათას ჰექტარზე უნდა გავაშენოთ ზვრები. თანაც ვფიქრობთ, რომ ეს გეგმა პირველივე სამ წელიწადში განვახორციელოთ, რათა მეოთხე-მეხუთე წლებში უკვე სრულმოსავლიანი ვენახები გვქონდეს.

სხვა რომ აღარა ვაკეკეთებინა რა, საგარეჯოს რაიკომის მდივანს მარადიული ძეგლად ისიც დარჩებოდა, რასაც დავით-გარეჯის უდაბნოში ჰქმნის.

„გარეჯობა“ დღეს უკვე აღარავის ჰგონია მარტოოდენ ზეიმი და წინაპართა ღვაწლის ცქვა-სიმღერით გახსენება. საგარეჯოელები წარსულის კულტურულ ნაფიქარზე დღევანდელად და გამართულ ცხოვრებას ამაყიდრებენ.

გარეჯის უდაბნო გასარწყავდება. ამით სიცოცხლე დაუბრუნდება ნოყიერ მიწას. აქ ბაღ-ვენახები აშრიალებს. სახნავიც ბლომად ეჭნებათ და საძოვარიც. გამრავლდება ცხვარი, აშენდება მეღორეობის უზარმაზარი კომპლექსი.

600 კომლით დაფუძნდება სოფელი. აი, 25 სახლი უკვე მობანდრეს ელოდება.

რაიონის სამრეწველო საწარმოები მეცხრე ხუთწლედში ყოველწლიურად თურმე 18 მილიონი მანეთის პროდუქციას ჰქმნიდნენ, შარშან კი 44 მილიონამდე ავიდნენ. იმიტომ, რომ გაფართოვდა ღვინის ქარხნების სიმძლავრეები, ამშეშვდა საქონ მასალათა, ივრის ალინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნები.

წლეულს, ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელიწადს ამუშავდება საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა. რომ რაიონი ყოველ-ოფელში არის შინმოუსვლელთა ობელისკი და ყველანი იხსენებენ ომში წასულ და ვეღარ მობრუნებულ ვაჟკაცებს.

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ რაიონულ ღონისძიებას პატარძეულში მოაწყობენ, ახალგაზრდობა, მშრომელები შეხვდებიან სამამულო ომის ვეტერანებს, გაიხსენებენ იმათ, ვინც შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. ყოველივე ამას სიმბოლურად შეეწყმება ის ამბავიც, რომ „შინმოუსვლელო, სადა ხარო“ პატარძეულელმა კაცმა გიორგი ლეონიძემ თქვა და დაამკვიდრა სვედიანი და ლამაზი სიტყვა — შინმოუსვლელი.

18 მაისს უკვე ტრადიციად დამკვიდრებული გარეჯობაა, ხოლო თვის ბოლოს სულმნათი გოგლას დაბადების 80 წლისთავი, თქვა ბოლოს რაიკომის მდივანმა.

და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ გაგვიკვირდება ამ ადამიანის უბრალოებისა და ზომიერების გრძნობა. სახალხო, საქართველო საქმისათვის შესაშური ერთგულება და თავდადება, უნარი იმისა, რომ ერი შეზიდვით უბრალო საქმე თავისი დიდი მნიშვნელობით დაგვანახვოს, მერე ერის საქმეში ულოდგავო შეებაა და სხვაც გვერდით გაიყოლიოს.

აი, ამგვარი თვისებებით აქციეს რაიკომის მდივანმა და მისმა თანამდგომებმა ეარდმოფენის ისედაც მშვენიერი თვე განსაკუთრებულ მაისად.

და მეზვრე ადამიანის ალოლუბვობით, სტუმრის დიდი სიყვარულით თქვა: **ჩვენს მაისობაზე ყველას ვიპატიჟებთო!**

ჯ. ჟურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

უკრაინის შვილი

ჯარისკაცები უგზო-უკვლოდ არ იკარგებიან...



პირველად დავადგი ფეხი საქართველოს მიწას, რომელიც ჩემი მეორე სამშობლო გახდა. როცა ჩამოვედი, ალუბლები ჰყვაოდა და წინა საპირველმისო ზეიმის დღეები იდგა. ამ შეხვედრაზე ოთხ წელზე მეტ ხანს ვოცნებობდი.

თქვენს მზიურ მხარეში ძვირფასი ადამიანის — მამის ბედისწერიალმა ჩამომიყვანა, რომელიც ქართველ მეომართან ერთად 1942 ქარაცეხლიან წელიწადს მოსკოვს მკერდით იცავდა და ორიეე დაიღუპა ბოლო შეტევის დროს. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მათი გაყინული გვამები ძმებივით ერთმანეთს ჩახუტებული იპოვეს, ქართველი მებრძოლი მაშინ დაიღუპა, როცა უკრაინელი მეგობრის გადარჩენას ცდილობდა. მას შემდეგ გადაუხდელი ვალი მმართებს ქართული ოჯახის წინაშე.

და აი, პირველად მივაბიჯებ თბილისის ქუჩებში. მიგადექი სახლს, სადაც ჯარისკაცის ქვრივი ცხოვრობს. ნაბიჯს ვუნელებ, თავი ფიქრით მისკლება: რით დავიწყო ამბავი, როგორ ავუხსნა ყველაფერი ორ ვაჟს და ქალს, რომლებიც უკვე თავიანთ მამაზე უფროსები არიან? როგორ ავუხსნა ჯარისკაცის ქვრივს, რომ მათთვის ძვირფასი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგული არ არის, იგი მამაცური სიკვდილით დაეცა და სამუდამოდ დარჩა უკრაინელი ხალხის ხსოვნაში...

უკვე მრავალი წელია, რაც ჩემი გოგო-ბიჭები — უკრაინის, ყუბანის, ამყანდა კი ქ. მინერალური წყლების № 2 სამუალო სკოლის წითელი კვალმაძიებლები შეკუტა და მასწავლებელი ქენია ვვრენჩუკი. განთავისუფლების შემდეგ სადიპლომო ჯგუფებს სათავეში ჩაუდგნენ ყოფილი სკოლის დირექტორი ყუბანიდან, ლეიტენანტი პეტრე ალუგინი და კაპიტანი ანატოლი გუსევი.

სადღეისოდ ჯგუფის წევრების შორის იყვნენ 30 ეროვნების ადამიანები, მათ შორის სამი ქართველი — 23-25 წლის ლავრენტი ჩიხლაძე, ოფიცერი გიორგი კილასონია და ვლადიმერ ჭოხონელიძე.

ოთხი წლის წინათ მივაგენით ვლადიმერ ჭოხონელიძის ოჯახს. დიდი სიყვარულით იგონებენ ამბროლაურის რაიონის სოფელ ტბეთის მცხოვრებლები სოფელში კოლმეურნეობის ორგანიზატორსა და მის პირველ თავმჯდომარეს, სამოქალაქო ომის მონაწილეს, 1921 წლიდან პარტიის წევრს ვლ. ჭოხონელიძეს. ომის დაწყების წინ ვ. ჭოხონელიძე გაგრაში ცხოვრობდა, სადაც რასასამმხმარებლო კავშირის თავმჯდომარე იყო. კომუნისტი ჭოხონელიძე ფრონტზე მოხალისედ წავიდა, თუმცა შეეძლო არ წასულიყო, „ჯავშანი“ ჰქონდა.

იგი კავკასიის, ყუბანის ბრძოლებში მონაწილეობდა. იყო ქერჩის დესანტის მონაწილეც, დაიჭრა, კონტუზია მიიღო. ბახჩისარაიში სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს. ეს იყო ნამდვილი სიკვდილის გზა: ღონემიხდილ ხალხს, სიცარიელ რომ არ შეეძლოთ, ან ხვრეტდნენ, ან ძალოებს აგლეჯინებდნენ. სწორედ ამ დროს ამოუდგა მხარში ჭოხონელიძეს უახლოესი მეგობარი უკრაინელი ვლადიმერ ბოიჩენკო, თვითონაც ღონემიხდილმა, ქართველი მეგობარი არ მიატოვა, ზურგით ატარა.

შემდეგ კი ორი ვლადიმერი არაერთხელ ყოფილა ერთად დაზვერვაზე, ალუგინისა და გუსევის დავალებით. რეიდი ავიროვგრადთან მათთვის უკანასკნელი იყო.

ჩვენი ქვეყნის ბევრმა გაზეთმა მიუძღვნა ნარკვევები ამ დიდებულ ჯგუფის წევრ მამაც პატრიოტებს. და აი, გაზეთ „სოციალისტურ რუსთაველი“ შარშან 26 იანვარს დაბეჭდილი მასალა დამეხმარა ჭოხონელიძის ოჯახის მისამართი.

ზარს თითი ფრთხილად დავაჭირე. ზღურბლზე მოხუცი თმაშეკვრცხლილი ქალი გამოჩნდა, სახე დარდის ნაოჭებს დაეფარა, ხანგრძლივი მოლოდინი რომ სტოვებს ხოლმე. მოხუცმა ყურადღებიანად შემომხედა, „ჯავშანი“ ჰქონდა.

ყელი გამიშრა. ვიდექი და თითქოს ენა ჩამეფარდაო, ვერაფერს ვეუბნებოდი ჩემს ქართველ ქალს, ალერსიან დედას. მაგრამ შორეული ძნელი გზიდან დაბრუნებულმა შვილთან ამოვისუნთქვა, რომ ვალი მოვიხადე მამაჩემისათვის თავდადებული ქართველი (მეომრის) წინაშე.

აი რატომ არის, რომ საპირველმაისო დღესასწაულზე აქ ვიმყოფები, ჩემს ოჯახში.

ტრადიციისამებრ ღვინოს ავწყობთ ერსამ. თავზე დედის თბილ ხელს ვგრძნობ, და იგი მეუბნება:

— მიიხედე, შვილო! ეს ღვინო ჩემი ქმრის გაშენებული ვენახისაა, ის ვაზი დღემდე ცოცხლობს...

აი რატომ ვიმყოფები ამ საპირველმაისო საზეიმო დღეებში ჩემი ქართველი ძმებისა და დების — მამაცი მებრძოლის, კომუნისტ ვლადიმერ ჭოხონელიძის შვილებისა და ჯარისკაცის ქვრივის სონია სენტეკ ასულ ჭოხონელიძის ოჯახში, მდიდრული სუფრასთან.

დედას ბევრი რამ აქვს საამაყო. შვილები შეძლებულად ცხოვრობენ და წარმოებაში ავტორიტეტი აქვთ. ბორის ვლადიმერის ძე ჭოხონელიძე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობი უბნის უფროსია, ბონდო ვლადიმერის ძე ჭოხონელიძე ამავე ქარხნის ცვლის უფროსია, ქალიშვილი ნელი ვლადიმერის ასული ლვალი ფოლად-თუჯსამსმელი ქარხნის სამშენებლო სამმართველოს თანამშრომელია. იზრდებიან შვილიშვილები, რომლებიც თვალებგაბრწყინებული ისმენენ პაპის საგმირო საქმეებს. პაპის პატივსაცემად ბორისის ოჯახში იზრდება ვლადიმერი, მეშვიდე ლალასს მოსწავლე.

ახლა მე მყავს ორი ძმა, მყავს და და დედა. რამდენი სითბო და სიკეთე მიმყვება საქართველოს სტუმართმოყვარე მიწიდან — ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია!

წითელი კვალმაძიებლები ამედგენენ, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავენ გამოგვეხმაურებიან გორელი ლავრენტი ჩიხლაძის და ბაგრელი გიორგი კილასონიას ახლობლები. მათაც უნდა იცოდნენ, რომ ჯარისკაცები უგზო-უკვლოდ, დაკარგული არ არიან, მათ ბოლომდე პირნათლად მოიხადეს მხედრული ვალი.

ვ. ბელოუსი,
ქ. მინერალური წყლების № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

1980 წლის აპრილი.

სურათზე: ვ. ჭოხონელიძე, სურათი გადაღებულია ომის წინა წლებში.

გზა წინ მიიწევს...

რეპორტაჟი

დღის 12 საათია.

ათობით მანქანა დგას თბილისი-მარნეულის ავტოგზის მარჯვნივ მდებარე მწვანე მინდორზე, საიდანაც იწყება სოფელ მარაბდისაკენ მიმავალი გზის განშტოება.

მაგისტრალზე მიქრიან ავტომობილები, მათი მგზავრები და მძღოლები ინტერესით შეჰყურებდნენ პატარა მდელოზე მდგომ მანქანებს და ფიქრობდნენ, იქ რაღაც ამბავი უნდა იყოსო.

და, მართლაც, იქ უაღრესად მნიშვნელოვანი უჩვეულო ამბავი ხდებოდა, რომელიც ისტორიული საქმის დაწყებას გვიუწყებდა.

პატარა მდელოზე ოცზე მეტ კაცს მოეყარა თავი თათბირზე... ღია ცის ქვეშ.

არც პრეზიდიუმი იყო თავისი ტრადიციული მაგიდით, არც ტრიბუნები და არც სკამები. პრეზიდიუმის მაგიდის როლს ამბერკავკასიის „ტრანსმშენის“ მმართველის „ვოლგის“ კაპოტი ასრულებდა, რომელზეც რამდენიმე სამუშაო ნახაზი გაეშალათ, აქეთ-იქით კი საქმიანი ფურცლებით დატენილი საქაღალდეები ეწყო.

სკამები არც იყო საჭირო, რადგან ყველა „პრეზიდიუმის მაგიდის“ ახლოს იდგა და ოპერატიულად ერეოდა საუბარში, დავობდა, შეჰქონდა თავისი წინადადებები, შესწორებები, შენიშვნები...

აქ მართლა მიმდინარეობდა თათბირი — ძალზე საქმიანი, ოპერატიული, რომელზეც განიხილავდნენ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობის პირველ საქმეებს, პირველ ნაბიჯებს.

ისევე როგორც გასულ კვირას, დღესაც ოპერატიულ თათბირს ესწრებოდნენ მთავარი საიჯარო ორგანიზაციის — ამბერკავკასიის „ტრანსმშენის“ მმართველი ა. საგანელიძე, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის მთავარი ინჟინერი გ. ჯაში, № 243 და № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლების, № 39 ხიდრაზმის, № 104 მექანიზებული კოლონის, № 78 სამშენებლო სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების უფროსები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

ყველა ისინი დღეს აქ ერთი და იგივე მიზნით მოვიდნენ — შეეტანათ თავიანთი პირველი წვლილი მეთერთმეტე ხუთწლედის მშენებლობაში.

თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ ამ დიდი მშენებლობის 5-6-კილომეტრიან მონაკვეთზე, მაგრამ როგორც გენერალური საიჯარო, ისე სუბსაიჯარო ორგანიზაციების ყველა მუშაკს ზუსტად აქვს წარმოდგენილი თავისი მომავალი ამოცანები და პასუხისმგებლობა.

პირველი სამშენებლო სამუშაოები, პირველი საგზაო ნაგებობანი, რომლებიც უნდა აიგოს მიმდინარე წლის დამლევამდე — გზაგამტარები თბილისი-მარნეულის და მარნეულ-თეთრი წყაროს ავტოგზებზე, ხიდი მდინარე ალგეთზე და უზარმაზარი მოკიულობის მიწის სამუშაოები მთელ 19-კილომეტრიან ტრასაზე. წინწყარომდე. ახალი გზა სათავეს იღებს თბილისი-ერევნის მაგისტრალიდან — კუმისისა და მარნეულის სადგურებს შორის.

მშენებლობის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. 32-ე პიკეტზე დამუშავებულია დიდი ნათხარი, ზედმეტი გრუნტი კი გადაზიდულია 30-ე პიკეტზე... უკვე მთავრდება თბილისი-მარნეულის მაგისტრალის შემოსაღელი გზის მშენებლობა გზაგამტარისათვის მოედნის მოსამზადებლად. ნახევრად ამოყვანილია მდინარე ალგეთზე ხიდის სამშენებლო მოედნისაკენ მიმავალი № 2 ავტოგზის მიწაყრილი.

მართალია, ჯერჯერობით ძალზე ცოტა რამ გაკეთდა, მაგრამ სწორედ კარგი საწყისისათვის საფუძვლის ჩაყრის, საქმის საუკეთესო ორგანიზაციის მიზნით დაამკვიდრეს მშენებლებმა „ღია ცის ქვეშ“ თათბირების“ ეს კარგი ტრადიცია.

კვირაში ორ-სამჯერ აქ იკრიბებიან მშენებლობის ხელმძღვანელები „ხვალინდელი საქმეების“ ოპერატიული გადაწყვეტისათვის.

და აი, ამჯერადაც დავობდნენ ძირითადად გზაგამტარისათვის გათვალისწინებული მოედნის მახლობლად შემოსაღელი გზის, მდინარე ალგეთის ხიდის სამშენებლო მოედნისაკენ მიმავალი № 2 დამხმარე ავტოგზის მშენებლობის დამთავრების თაობაზე.

— მომეცით სამუალება ალგეთის გაღმა გავიდე, — ამბობდა № 104 მექანიზებული კოლონის უფროსი ანზორ ზოზირაშვილი, — და ზუსტად სამ დღეში მოვაგვარებ პირველი მარტივი რკინა-ბეტონის ნაკეთობათა დამზადებას.

რა თქმა უნდა, ეს განცხადება უყურადღებოდ არ დარჩენილა, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ჯ. გოცირიძემ მაშინვე დადო პირობა, რომ ორ დღეში უზრუნველყოფდა გადასვლის შესაძლებლობას.

ბევრ ასეთ საკითხზე იმსჯელეს იმ დღეს, და ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტას ხელს უწყობდა როგორც გენერალური მოიჯარადრის წინადადებანი, ისე პროექტის მთავარი ინჟინრის მიერ შეტანილი კორექტივები.

პირველი ნაბიჯები გადადგმულია, საქმე ადგილიდან დაიძრა. ისღა დარჩენილა, რომ სამშენებლო ქვეგანაყოფებმა და მშენებლებმა ზუსტად და ენერგიულად იმუშაონ, რათა წაიწიონ წინ, მიიბეში...

ბ. ხაჩატურიანი,
ინჟინერი, გაზეთ „სოვეტაკან ერასტანის“ რედაქციის მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქონელბრუნვის განყოფილების გამგე.

სურათებზე: (მარცხნივ) ამერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის საწარმოო განყოფილების ინჟინერი ტ. კირტავა, ამავე ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი რ. ნათელაშვილი, ამავე ტრესტის მთავარი ინჟინერი ჯ. გოცირიძე, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის პროექტის მთავარი ინჟინერი გ. ჯაში და ამერკავკასიის „ტრანსმშენის“ უფროსი ა. საგანელიძე გზაგამტარის მშენებლობისათვის მოედნის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობენ; მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის პირველი კილომეტრების მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლები ბ. ოთფურია (მარცხნივ) და გ. გრიგორიანი შემოსავლელი გზის მშენებლობაზე.

ვ. ჩერკასოვის ფოტო.

საერთაშორისო ლენინური პრემიის laureatebi



ურჯო კალევა კეკონენი.



ლე ზუანი.



მიგელ ოტერო-სილვა.



ერვე გაზენი.

აგდურაპმან ალ-ჰამისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი დღე „სალუტ-6“ სადგურში

ფრენის მართვის ცენტრი, 30 აპრილი. (საკდესი). გრძელდება კოსმონავტების ლეონიდ კოპოვისა და ვალერი რიუმინის ფრენა. დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევის და გარემოს შესწავლის პროგრამის შესაბამისად ორბიტული კომპლექსს ეკიპაჟი რეგულარულად ეერევრება და ფოტოსურათებს ულებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ცალკეულ რაიონებს. ელექტრომაგნიტური ტალღების სპექტრის სხვადასხვა დიაპაზონით მომუშავე აპარატურის საშუალებით გადაღებასთან ერთად კოსმონავტები ვიზუალურად აკვირდებიან სხვადასხვა გეოლოგიურ წარმონაქმნს, განსაზღვრავენ საძოვრებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგომარეობას, ოპერატიულად ავლენენ ზღვის რაიონებს თევზის რეწვისათვის.

„სალუტ-6“ სადგურში არსებული სამეცნიერო აპარატურის მეტი ნაწილი კოსმონავტებმა უკვე ჩამოსხეს სამშენოდ. კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში „შენადნობის“ დანადგარზე განხორციელდა ნიმუშების მიკროგრავიტაციის პირობებში ნახევარგამტარი მასალების მიღების მიზნით.

დაიწყო გამა-გამოსხივებისა და დამუხტული ნაწილაკების ნაკადების გაზომვა დედამიწისირგვლივ კოსმოსში მცირეგაბარიტიანი გამა-ტელესკოპ „ელენეს“ მეშვეობით, რომელიც სადგურის გადასასვლელ კამერაშია.

დღეს ეკიპაჟი კომპლექსური სამედიცინო კვლევას ეწევა. კერძოდ, გამოიკვლიეს ვაკუუმური ლოტოფმის „ჩიბისის“ გამოყენებით ჰიდროსტატიკური წნევის იმიტაციისადმი კოსმონავტების გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქცია. კლინიკური კონტროლი ამ დროს ხორციელდებოდა „პოლინომ-20“ მრავალფუნქციური მატეგულირებელი აპარატურის საშუალებით.

ნაშუადღევისათვის დაგეგმილია უწონობის დროს ადამიანის ჩსოვლელებში ქანგბადის რეჟიმის შესწავლის ექსპერიმენტი და „ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „კრისტალის“ დანადგარზე. ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებით და ეკიპაჟის მოხსენებებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-35“ — „პროგრეს-9“ კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

□

მიფრინავენ „კოსმოს-1176“ და „კოსმოს-1177“

1980 წლის 29 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1176“ და „კოსმოს-1177“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ ვაჟა პლატონის ძე ივერიელს მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ო. შ. ქიშმარეიშვილი დანიშნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ. (საქინფორმი).

პირველი მაისის შესახვედრად

ჰავანა. კარტერის ადმინისტრაციის აგრესიული კურსის, კარიბის ზღვაში ამერიკის სამხედრო ყოფნის გაძლიერების საშიში გეგმებისა და მისში კარიბის აუზში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო მანევრების მოწყობის დაგმობის ნიშნით ამ დღეებში მთელ ქვეყანაში მომდინარეობს მიტინგები, რომლებიც ეძღვნება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს.

მასობრივი მანიფესტაციები, რომლებიც კუბის კომპარტიისა და მშრომელთა პროფკავშირის ადგილობრივმა ორგანოებმა მოაწყვეს, გაიმართა ყველა პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრებში, ავრეთვე ახალგაზრდობის კუნძულზე. მაიი მონაწილენი მხარს უჭერენ კუბის კომპარტიისა და მთავრობის მტკიცე და თანმიმდევრულ კურსს, აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ დაიცვან სამშობლოს სუვერენიტეტი და ღირსება.

ბერლინი. „მოწინააღმდეგეთა საუკეთესო მიღწევები გაეხადოთ ნორმად ყველასათვის“ — ასეთი დევიზით შრომობს ამ დღეებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კოლექტივი. დადგენილია საპირველმაისო შრომითს ველტზე, ისინი დამკვრელური შრომით, სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებით ეგებებიან მთელი პლანტის მშრომელი ხალხის დღესასწაულს.

პარიზი. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს 1 მაისის დღესასწაული ჩაატარონ „მკაცრი ეკონომიის“ პოლიტიკის წინააღმდეგ, შრომელთა საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის შრომელთა ბრძოლის გაძლიერების ლოზუნგებით.

საფრანგეთში, აცხადებს პოლიტბიურო, ძლიერდება შრომელთა უკმაყოფილება, იზრდება ინფლაცია და უმუშევრობა, ხდება ეროვნული ეკონომიკის მთელი დარგების ლიკვიდაცია, გრძელდება შეტევა ადამიანის თავისუფლებებსა და უფლებებზე.

მანაგუა. ნიკარაგუის ხალხი ქვეყნის ისტორიაში პირველად აღნიშნავს შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს— 1 მაისს თავისუფლების პირობებში, რომელიც იარაღით ხელში მოვიპოვეთ, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ერთ-ერთ ხელმძღვანელობის წევრმა ჯარლოს ნუნიესმა.

პირველი მაისის დღესასწაული მიმდინარე წელს, თქვა შემდეგ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ხელმძღვანელობის წევრმა, უაღრესად დამაჯერებელი დემონსტრაციაა ხალხის ეროვნული ერთიანობისა, მისი შეკავშირებისა რევოლუციური მთავრობის და ნიკარაგუის მშრომელთა ავანგარდის — ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის გარშემო.

ჰავანა. „გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს“, „გრენადის მშრომელები — რევოლუციასთან ერთად“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ ასეთი ლოზუნგებით ხვდებიან პირველ მაისს კარიბის ზღვის პატარა კუნძულის სახელმწიფოს — გრენადის მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, მთელი ხალხი.

1 მაისს კვლავ ცხადვყოფთ ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას შევასრულოთ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების დასახული პროგრამა, განაცხადა პრესკონფერენციაზე ცნობილმა გრენადელმა მკვლევარმა და მწერალმა, „ნიუ-ჯიელის“ პარტიის აქტივისტმა, ამ ქვეყნის ელჩმა კუბაში რიჩარდ ჯეკობსმა.

ამერიკელ კომუნისტთა პოზიცია

ნიუ-იორკი, 30 აპრილი. „უგუნური და საშიში პროვოკაცია“ უწოდეს ამერიკელმა კომუნისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის სამხედრო ავანტიურას ირანის წინააღმდეგ. ეს თავხედური გამოხდომა, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაავრცელა, გვიჩვენებს, რომ პრეზიდენტი კარტერი თავის ომის მოტრფიალე მრჩევლებთან ერთად და პენტაგონი არაფრად აგდებენ მძევალთა სიცოცხლეს, ისევე როგორც მსოფლიოს ხალხთა სიცოცხლეს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამერიკელ ხალხში ძლიერდება მოთხოვნები კარტერის გადადგომის შესახებ. „მიგვაჩნია, — ნათქვამია დოკუმენტში, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხმა და კონგრესმა სერიოზულად უნდა განიხილოს იმის შესაძლებლობა, რომ კარტერს იმპიჩმენტი გამოუცხადონ კონფრონტაციისა და აგრესიის პოლიტიკისათვის“.

შეიარაღებული პროვოკაცია აღარ უნდა განმეორდეს.

ემუქრებიან მშვიდობას

ლათინური ამერიკის ქვეყნების საზოგადოებრიობა გადაჭრით ილაშქრებს კარიბის აუზში ამერიკის შეერთებული შტატების დიდი მასშტაბის სამხედრო მანევრების წინააღმდეგ.

ჰავანა. შეერთებული შტატები თავისი მუქარითა და ძალის დემონსტრაციით ცდილობს დაამონოს კარიბის აუზის ხალხები, განამტკიცოს იქ იმპერიალიზმის პოზიციები, შეაფერხოს რევოლუციური პროცესი, წერს გაზეთი „გრანმა“. მისი მოქმედება „შკარა საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას.

მეხიკო. ამერიკის იმპერიალიზმი ამზადებს ნიადაგს ყბადაღებული „მონროს დოქტრინის“ აღორძინებისათვის, ლათინური ამერიკის ყველა ხალხის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ნიკარაგუის, სალვადორის, კუბის წინააღმდეგ აგრესიისათვის, ნათქვამია ლათინური ამერიკის ყურნალისტთა ფედერაციის სამდივნოს განცხადებაში. განზრახული დიდი მასშტაბის მილიტარისტული აქციის კარიბის ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეროგატიულ მოქმედების კულმინაციაა.

პირველად აფრიკის ისტორიაში

ლაგოსი, 30 აპრილი. აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები შეიკრიბნენ ნიგერიის დედაქალაქში დამოუკიდებელი აფრიკის ისტორიაში პირველი ასამბლეაზე, რომელიც ეკონომიკის საკითხებს მიეძღვნა. მას წინ უძღოდა მთელი რიგი კონფერენციები აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში, რომლებზეც შეიმუშავეს მოქმედების კონკრეტული გეგმა ეროვნული და კოლექტიური თვითუზრუნველყოფის საფუძველზე კონტინენტის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის. ეს კომპლექსური პროგრამა, რომელიც ახლა დასამტკიცებლად წარედგინა სრულიად აფრიკის უმაღლესი ორნის ფორუმის მონაწილეებს, შეიცავს უახლოეს ორ ათწლეულში ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა დარგის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს. ასამბლეის მონაწილენი განიხილავენ აგრეთვე ოქმის პროექტს აფრიკის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შესახებ, რომელიც 2000 წლისათვის უნდა შეუფდგეს პრაქტიკულ საქმიანობას.

ეკონომიკის საკითხებზე უმაღლესი დონის თათბირის მოწვევის თვით ფაქტი ცხადყოფს აფრიკის ქვეყნების სიმწიფეს, მათ მტკიცე გადაწყვეტილებას ერთობლივი მოქმედების გზით ბოლო მოუღონ კოლონიური წარსულის მძიმე მემკვიდრეობას, ყოფილ მეტროპოლიებზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას.

აფრიკის ქვეყნებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ შექმნილი მდგომარეობის მთელი სერიოზულობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს განვითარების საკუთარი სტრატეგიის შემუშავებას, სადაც კოლექტიური თვითუზრუნველყოფა და რეგიონალური თანამშრომლობა ყურადღების ცენტრში იქნება.

ჯ. კარტერის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 30 აპრილი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა მიიღო გადაწყვეტილება დანიშნოს სენატორი ედუარდ მასკი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტზე. ეს გამოაცხადეს თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე. ე. მასკი ამ პოსტზე შეცვლის ს. ვენსს, რომელიც გადადგა იმის გამო, რომ არ ეთანხმება ირანში თეთრი სახლის აგრესიულ აქციას. ე. მასკის კანდიდატურა სენატმა უნდა დამტკიცოს.

ედუარდ სიქსტუს მასკი 1955-1959 წლებში იყო მენის შტატის გუბერნატორი. 1959 წლიდან იგი სენატორია ამ შტატისაგან. ე. მასკი სენატის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრია.

1968 წლის არჩევნებში კენჭს იყრიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან. 1972 წლის საარჩევნო კამპანიის დროს თავისი კანდიდატურა წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე იმავე პარტიისაგან.

საერთაშორისო ცხოვრება ლენინგრადის ჭურჭელზე

გვეტყობინებენ საკდესისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები

გმობენ აგრესიულ აქციას

ქაბული, 30 აპრილი. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ავღანელი ხალხი გადაჭრით გმობენ აგრესიულ აქციას, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოაწყო სუვერენული ირანის წინააღმდეგ, ნათქვამია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში ავღანეთის ბახთარის საინფორმაციო საagენტოსადმი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აქცია ირანში საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, ნათქვამია განცხადებაში, შეშფოთებული ადევნებს თვალს მოვლენათა მსვლელობას ირანსა და რეგიონში ამერიკის ადმინისტრაციის ამასწინანდელი პროვოკაციული გამოსვლების გამო. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა გულწრფელ სოლიდარობას უცხადებენ ირანის სამართლიან ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული აქციების წინააღმდეგ.

რეაქცია არ ცხრება

თეირანი, 30 აპრილი. შეერთებულ შტატებს ხელი არ აუღია თავის აგრესიულ გეგმებზე ირანის მიმართ და ეცდება განახორციელოს ახალი ძირგამომთხრელი აქციები, განაცხადა ბეირუთში ოფიციალური ვიზიტის დასასრულს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ყოტბზადემ. ამასთან მან აღნიშნა, რომ ირანელი ხალხი მზად არის წინააღუდგეს ყოველგვარ შეთქმულებას.

„იმამის კურსის მიმდევარმა“ მაჰმადიანმა სტუდენტებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკელი მძევლები თეირანიდან გადაიყვანეს თავრიზში, ყუმში, ისპაანში, იეზდსა და ნეჯაფაბადში. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, აღნიშნულია განცხადებაში, კვლავ მიმართავს სამხედრო ავანტიურებს ირანელი ხალხის წინააღმდეგ, იგი მსოფლიო საზოგადოების თვალში კიდევ უფრო შერცხვება.

ირანში ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული დივერსიის ჩაშლის შემდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა გააქტიურეს ირანის კონტრრევოლუციის ძალებმა. გასული დღეღამის განმავლობაში თეირანში ააფეთქეს რამდენიმე ბომბი, რის შედეგადაც 7 კაცი დაიხოცა და დაახლოებით 30 დაჭრა. უცნობმა პირებმა ავტომანქანებიდან სამჯერ დაუშინეს ცეცხლი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი თეირანის საელჩოს დაცვას. ბასუხისმგებლობა ბომბების აფეთქებისათვის იკისრა „ირანის განთავისუფლების ფედერალურმა ფრონტმა“, რომელიც ეროვნული ორიენტაციის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, აერთიანებს მონარქიულ და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებს.

ჭკუა ვერ ისწავლეს

ვაშინგტონი, 30 აპრილი. ჯ. კარტერის ადმინისტრაციას ვერ ასწავლა ჭკუა დივერსიულმა აქციამ, რომელიც ირანში ჩაუფლავდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავინდებურად ეთამაშება ცეცხლს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამჟამად ირანის სანაპიროს მახლობლად დადის სამხედრო-საზღვაო ძალების 37 ხომალდი, მათ შორის 4 ავიამზიდი, რომელთა ბორტზე არის 400 თვითმფრინავი, რომლებსაც შეუძლიათ ბირთვული იარაღის წაღება, და 1800 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი. ამ დამკვრელ ჯგუფში სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რიცხვი დაახლოებით 34 ათასს შეადგენს.

პენტაგონი ოფიციალურად იუწყებოდა, რომ მალე ამ არმადას შეუერთდება ავიამზიდები „კონსტელეიშნი“ და „ეიზენჰაუერი“.

ირანის უდაბნოში სამარცხვინოდ ჩაშლილმა რეიდმა სეროიზული შეშფოთება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა რ. ბეირდმა მოითხოვა, რომ კონგრესმა საგანგებოდ გამოიძიოს ეს ავანტიურა. სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა თავმჯდომარემ ჯ. სტენნისმა თქვა, რომ მისი კომისია უკვე შეუდგა იმ გარემოებათა გამოძიებას, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ოპერაციის ჩაშლა.

ქაპიტალის სამყაროში

დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო ძლიერდება მშრომელთა ბრძოლა თავიანთი უფლებების დასაცავად. ხალხმრავალ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე თავიანთი მთავრობებისაგან ისინი მოითხოვენ მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, უმუშევრობის აღმოფხვრას, გმობენ გამალებული შეიარაღების პოლიტიკას. მშრომელთა გამოსვლების ჩასახშობად პოლიცია ხშირად ხმარობს უხეშ ძალას.

აგრარული რეფორმის დასაცავად უხდებათ ბრძოლა პორტუგალიელ მიწათმოქმედთ. ქვეყნის ყოველ კუთხეში გამართულ დემონსტრაციებზე ისინი გმობენ მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მემამულეებს უბრუნებს ნაციონალიზებული მიწის ფართობებს.

ხურათებზე: ინგლისის ქალაქ ბრისტოლში დემონსტრაციის დასაწყისელად პოლიციამ გამოიყენა ძაღლები (ზევით); პორტუგალიის ქალაქ ევორაში გამართული დემონსტრაციის მონაწილენი.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მოკლედ ყოველი მხრიდან

30 აპრილი

● **ვარშავა.** პოლონეთში დამთავრდა საბჭოთა კულტურის დღეები. დღესასწაულის პროგრამამ მოიცვა ქვეყნის ყველა რაიონი, სადაც გამოვიდა 800-ზე მეტი საბჭოთა მსახიობი. მოეწყო 100-ზე მეტი გამოფენა, 500-მდე შემოქმედებითი შეხვედრა, სემინარი, ხიმპოზიუმი, ბევრი სხვა ღონისძიება.

● **ლონდონი.** ინგლისშიც, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში არ გამოვიდა ახობით პროვინციული გაზეთი მბეჭდავთა საგაფიცვო გამოსვლის პასუხად, რომლებმაც პოლიგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის მოწოდებით ხელფასის მომატება მოითხოვეს, გაზეთების მფლობელებმა დაბურეს სტამბები და მასობრივი დათხოვნით დამუქრნენ მუშებს. მეწარმეთა მოქმედებამ სტამბის მუშების მტკიცე პროტესტი გამოიწვია.

● **ბრაზილია.** ბრაზილიის მთავრობა შეუდგა კანონპროექტის განხილვას, რომელიც ზღუდავს უცხოეთის სამედიცინო კომპანიების მტაცებლურ საქმიანობას ქვეყანაში. დოკუმენტი უკრძალავს უცხოეთის ფირმებს მოგების საზღვარგარეთ გაგზავნას, ავალდებულებს მათ ფინანსური სახსრები მოთავსონ ბრაზილიის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, ხელს უშლის სახელმწიფო კომპანიების მიერ საზღვარგარეთის მონოპოლიებთან კონტრაქტების დადებას.

● **ბრიუსელი.** სრულიად არაბეთის ბანკების და სადაზღვევო ორგანოების მომსახურეთა კავშირმა მკაცრად გააკრიტიკა ირანის წინააღმდეგ მიმართული ამერიკის სამხედრო აქცია. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბანდიტური მოქმედება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევაა და მშვიდობისმოყვარე ძალების აბუჩად აგდება.

როგორ ხორციელდებოდა დივერსია

ვაშინგტონი, 30 აპრილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ იხილავენ პრეზიდენტ ჯ. კარტერის მიერ განხორციელებულ დივერსიულ ოპერაციას ირანის წინააღმდეგ, რომლის მიზანი, როგორც გამოაცხადეს, ამერიკელ მძევალთა განთავისუფლება იყო. განხილვის დროს ვლინდება ამ ოპერაციის ახალ-ახალი დეტალები, რომლებიც მოყვანილი არ ყოფილა ჯ. კარტერის გამოსვლაში ამ ოპერაციის ჩაშლის შემდეგ.

პრესაში „ანტიკონტაქტ“ დაბეჭდილი (ენობების თანახმად, ოპერაციაში, რომლის პირობითი სახელწოდება იყო „ბლუ ლაითი“, მონაწილეობდა ს-130 6 თვითმფრინავი და ფრენის გადიდებული სიშორის 8 სპეციალურად აღჭურვილი ვერტმფრინავი. ერთ-ერთი თვითმფრინავი გამწყობის როლს ასრულებდა. ვერტმფრინავების ბაზა ჰქონდათ ავიამზიდ „ნიმიცზე“, რომელიც არაბეთის ზღვაში იმყოფება.

ირანის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ახალი დეტალები

ოპერაციისათვის მზადება დაიწყო ჯერ კიდევ 1979 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ფორტ-ბრაგის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) სამხედრო ბაზაში და ითვალისწინებდა ამერიკის საელჩოს შენობის ხელში ჩაგდების იმიტაციას. საელჩოს შენობის მაკეტი ამ ბაზაზე იყო ამენებული. მაკეტზე სადაზვერვო ჯგუფმა ოცზე მეტი წვრთნა ჩაატარა რეალურ პირობებთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში.

24 აპრილს ღამით კაიროს დასავლეთით მდებარე ეგვიპტის აეროდრომიდან გაფრინდა ს-130 თვითმფრინავების ჯგუფი, რომლის მარშრუტი გადიოდა ომანსა და პაკისტანში და მიდიოდა დიდი მარილის უდაბნოს რაიონში (430 კილომეტრი თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით), ავიამზიდ „ნიმიცედან“ გაფრინდა მძიმე ვერტმფრინავების ჯგუფი, რომლებმაც 90 მედესანტე წაიყვანეს. გზაში ტექნიკური უწესივრობის გამო ორი ვერტმფრინავი იძულებული გახდა ბაზაში დაბრუნებულიყო. დანარჩენი ვერტმფრინავები დახტნენ რებატე-ხანის რაიონში (500 კილომეტრზე თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით). გათვალისწინებული იყო ვერტმფრინავების კმაგაწყობა ამ რაიონში და შემდეგ ამავე ვერტმფრინავებით სადეკანსიო ჯგუფების გადაყვანა თეირანის რაიონში. ამისათვის აქ მიიტანეს საწვავი და დამატებითი აღჭურვილობა.

სადეკანსიო ჯგუფები თეირანში უნდა შესულიყვნენ როგორც ისლამური რევოლუციის გუშაგები, წამოიყვანთ უდაბნოში შექმნილ შუალედურ ბაზაში, საიდანაც ირანის ფარგლებიდან თვითმფრინავებით გახიზნავდნენ. როგორც მთელი რიგი ამერიკული გაზეთები წერენ, თეირანის ოპერაციის განხორციელებას ამირებდნენ ირანში წინათ შეგზავნილი ამერიკის აგენტურის საშუალებით, რომელიც თეირანის რაიონსა და მის მიდამოებში მოკალათდა. ვარაუდობდნენ, რომ რიგის თეირანში მოაწყობდნენ ამ აგენტურის მიერ საელჩოს რაიონში პროვოკაციულად გამოწვეული მღელვარებისა და უწესრიგობის მომენტში. ვერტმფრინავებს კი ირანულს დაამსგავსებდნენ და ამ ქვეყნის დამოსაცნობ ნიშნებს გაუკეთებდნენ.

ამ ღამის ოპერაციისას, როცა ერთ-ერთი ვერტმფრინავი შუალედურ ბაზაში ამგაწყობისათვის ძირს ეშვებოდა, შეეტაკა გამწყობ თვითმფრინავს. გამწყობი თვითმფრინავი და ვერტმფრინავი დაიწვა, 8 კაცი დაიღუპა, ბევრი სერიოზულად დაშავდა და სიდამწვრე მიიღო. ამრიგად, საწვავის მარაგი სხვა ვერტმფრინავებისათვის ცეცხლმა შთანთქა. ამის შემდეგ სადესანტო ჯგუფმა მიატოვა დაზიანებული და დაზიანებული ვერტმფრინავი და თვითმფრინავი და სწრაფად გაბრუნდა სხვა სატრანსპორტო თვითმფრინავით დასავლეთ გერმანიაში მდებარე ამერიკის ერთ-ერთ ბაზაში. თეირანის ტელევიზიით უჩვენეს ამერიკელ თავდამსხმელთა დესანტის გადასხმის ადგილას დახოცილთა გვამები.

როგორც იუწყებიან, „ბლუ ლაითის“ ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა შტატების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი დ. ჯოუნსი, რომელსაც ეხმარებიან კავშირი ჰქონდა თეთრ სახლთან. ირანის წინააღმდეგ ამ სამხედრო მოქმედების კოორდინაციას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბეზინსკი. იუწყებიან, რომ ოპერაციის მონაწილე ვერტმფრინავებში იყო დიდძალი იარაღი და საიდუმლო ტექნიკა, მათ შორის რაკეტები, მძლავრი რადიოსადგურები, ღამის ხედვის სისტემები და ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი ამერიკის თეირანის საელჩოს დაცვის მწყობრიდან გამოსაყვანად.

ამ დივერსიის ჩაშლის შემდეგ თეთრი სახლი ცდილობს იგი ჰუმანურ აქციად წარმოგვიდგინოს, რომლის მიზანი თითქოს ამერიკელ „მძევალთა“ განთავისუფლება ყოფილიყოს. მაგრამ მთელ რიგ ცნობებში პირდაპირ ათქმა ნათქვამი, რომ ეს სამხედრო ოპერაცია ითვალისწინებდა ქალაქ ყუმში ირანის ლიდერის აიათოლა ხომეინის ხელში ჩაგდებას ან მოკვლას. ამას, კერძოდ, მოწმობს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი შუალედური ბაზა მდებარეობდა ქალაქ ყუმთან ყურო ახლო, ვიდრე თეირანთან.

ამრიგად, დამატებითი ფაქტები მოწმობენ, რომ დიდძალი ოპერაცია თავდაპირველად მზადდებოდა ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ამერიკის თეირანის საელჩოს ხელში ჩაგდებისთანავე. მარტო მისი უშუალო განხორციელებისათვის გამოიყო ასამდე კაცი, თუ არ ჩავთვლით მრავალრიცხოვან სამხედრო-ტექნიკურ პერსონალს, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ამ აქციის განხორციელება. ყოველივე ეს მაშინ ხდებოდა, როცა შეერთებული შტატების პრეზიდენტი აკეთებდა მრავალ განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებდა სამხედრო ძალის გამოყენებას ირანის წინააღმდეგ და მის მთავრობას აღუთქვამდა მძევალთა საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვეტა გვსურს და ირანელ ხალხთან „კეთილი ურთიერთობის“ მომხრე ვართო.

ფილმის წარმატება

მოძმე რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — ქართველ მსახიობს

ბაქოს ჯაფარლის სახელობის კინოსტუდიამ ცენტრალური ტელევიზიის შეკვეთით გადაიღო სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაბადების დღე“ (სცენარის ავტორი — რ. იბრაგიმბეკოვი, რეჟისორი — რ. აჯაგოვი, დამდგმელი მხატვარი — კ. ნაჯაფზადე), რომელშიც მთავარ როლს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალგაზრდა მსახიობი **დავით უფლისაშვილი** ასრულებს.

ცენტრალური ტელევიზიის საშუალებით ქართველმა ტელემაყურებლებმაც ნახეს ეს ფილმი და დიდად მოიწონეს.

ამ დღეებში მსახიობმა ბაქოდან სასიხარულო დეპეშა მიიღო. საბჭოთა აზერბაიჯანის მესამოცე წლისთავისთვის მზადების დღეებში ფილმის დამდგმელ ჯგუფს, მსახიობებს გ. ისმაილოვსა და დ. უფლისაშვილს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

უნდა აღინიშნოს, რომ დავითი პირველი ქართველი მსახიობია, რომელიც აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ბ. პაპუაშვილი.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ

ს. კილაძისა და ჯ. ლომაძის ფოტო.

სადღესასწაულო აფიშა

საინტერესო და მრავალფეროვანია საქართველოს დედაქალაქის თეატრალური კოლექტივებისა და ხელოვნების ოსტატთა სადღესასწაულო აფიშა. პროგრამაშია თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სადღესასწაულო კონცერტი, ქართველი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებები თეატრის წამყვანი სოლისტების შესრულებით. ამ დღეებში რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი მაყურებელს უჩვენებს მ. შატროვის ჰეროიკულ დრამას „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. თეატრის სადღესასწაულო აფიშაზეა აგრეთვე სპექტაკლები: ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, გ. სუნდუკიანის „პეპო“. მ. შატროვის კიდევ ერთმა პიესამ „80-მა აგვისტომ“ დაამშვენა კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სადღესასწაულო აფიშა. სცენური ხელოვნების მოყვარულნი ნახავენ აგრეთვე ა. ჩხეიძის „შთამომავლობას“, თ. ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე“. 4-8 მაისს აკადემიური თეატრი თავის სცენას დაუთმობს მეტეხის სახელმწიფო ახალგაზრდულ თეატრს, რომელიც აქ მაყურებელს უჩვენებს თავის საუკეთესო დადგმებს.

მეტეხის ციხეში კი ახალგაზრდული თეატრი დასი მოინაწილეობას ჭიოლ მორენა ელოგიანის „ბალანსალმი ბიძვნილ პოეზიის საღამოში.

საინტერესო და მრავალფეროვანია თბილისის შაუმიანის სახელობის თეატრის აფიშა. მასში შეივიდა სომხური ლიტერატურის კლასიკოსის ა. ჰარონიანის პიესა „მზითვიანი პატარძალი“, ო. ტურაბელიძის „ორი მამა“ და ვ. პეტროსიანის „სასამართლო უბრალდებულოდ“.

ოპერეტის მოყვარულებს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი თავის ნაირფერ ოპერეტებს „ბაიადერა“, „ბაბა ჯაბა“, „ბაბ-ბაბ“, „ბაბ-ბაბ“ ... ...